AVIACOPTER
ავიაკოპტერი

საქართველო, თბილისი 0158, აეროპორტის დასახლება კორპ. N130, ბ. N11
Residential suburb of airport BLDG 130 apartament 11, Tbilisi 0158, Georgia
geoaviacopter@gmail.com www.aviacopter.ge +995 599 16 23 88

№ 7

„22" „აგვისტო" 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ავიაკოპტერი" წარმოადგენს მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მაღალი კლასის ავიასპეციალისტებით დაკომპლექტებულ კომპანიას.

დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე შპს „ავიაკოპტერმა" გადაწყვიტა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობზე, ქ. თბილისის ცენტრთან ახლოს მოაწყოს ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი ახალი საფრენი მოედანი.

ვინაიდან, ახალი საფრენი მოედნის მშენებლობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-9 პუნქტის, 9.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მცირე ზომის საფრენი მოედნის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. გთხოვთ განიხილოთ თანდართული სკრინინგის ანგარიში და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიში, 1 ეგზ.

ანგარიშის ელექტრონული ვერსია და Shape ფაილები - CD დისკზე;

პატივისცემით,

კომპანიის ხელმძღვანელი: / ვლადიმერ ხოსიაშვილი /

12135
22.08.2019
1/CD